საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
GEORGIAN NATIONAL UNIVERSITY SEU

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების წესი

დამტკიცებულია
რექტორის 2020 წლის 3 სექტემბრის №493 ბრძანებით
შეტანილია ცვლილება
რექტორის 2021 წლის 29 აპრილის №254 ბრძანებით

თბილისი
2021

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე წესი არეგულირებს შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს (შემდგომში - სეუ) აკადემიური პერსონალის აფილირების წესს, პირობებს და ადგენს აფილირებასთან დაკავშირებით მხარეთა უფლება-მოვალეობებს;

1.2. აფილირება წარმოადგენს ადამიანური რესურსების მართვის პროცესის კომპონენტს, რომელიც ორიენტირებულია აკადემიური პერსონალის მოზიდვა, მოტივაციასა და დამაგრებაზე;

1.3. წინამდებარე წესის მოთხოვნები და პროცედურები უზრუნველყოფენ პროცესის გამჭვირვალობას, ღიაობას, ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და მიმართულია კონკურენტული გარემოს ფორმირებაზე სეუ-ში;

1.4. აფილირება შესაძლებელია აკადემიური თანამდებობის მქონე პირის შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადით.

1.5. აფილირების განაცხადი განიხილება რექტორის მიერ შექმნილი კომისიის მიერ, რომლის შემადგენლობაში შედიან: რექტორი (თავმჯდომარე), ვიცე-რექტორები აკადემიური და კვლევითი მიმართულებით, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი და პროგრამის ხელმძღვანელი. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება ხდება ხმათა უმრავლესობით. ხმათა თანაბრობის შემთხვევაში რექტორის ხმა გადამწყვეტია.

მუხლი 2. ძირითადი ტერმინები და განმარტებები

2.1. **აფილირება** - ნებაყოფლობითი, წერილობით დადასტურებული შეთანხმება სეუ-სა და აკადემიური თანამდებობის მქონე პირს შორის, რაც განსაზღვრავს მხარეების უფლებებს, ურთიერთვალდებულებებს და პასუხისმგებლობლობებს, რომლითაც თითოეული აკადემიური თანამდებობის მქონე პირი განსაზღვრავს თავის აფილირებას მხოლოდ სეუ-სთან, სეუ-ს სახელით მონაწილეობს სეუ-ს განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში და სეუ-ში ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო/შემოქმედებით/საშემსრულებლო საქმიანობას, ამ საქმიანობიდან გამომდინარე მისი კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის შედეგები კი ეთვლება სეუ-ს;

2.2. **აფილირების განაცხადი** - პირის მიერ წერილობით დადასტურებული მზადყოფნა და სურვილი, იყოს აფილირებული სეუ-თან;

2.3. **აფილირებული აკადემიური პერსონალი** - აკადემიური პირი, რომელსაც გაკეთებული აქვს აფილირების განაცხადი და, ამის საფუძველზე, გაფორმებული აქვს სეუ-თან შრომითი ხელშეკრულება. აფილირებული პირები განისაზღვრება წინამდებარე წესისა და სეუ-ს შინაგანაწესის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წარმოდგენილი განაცხადების ანალიზის საფუძველზე;

2.4. **მხარე** - წინამდებარე წესის მიზნებიდან გამომდინარე, დამსაქმებელი (საქართველოს ეროვნული უნივრესიტეტი სეუ) და დასაქმებული (აკადემიური პერსონალი);

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები:

ა) აფილირებულ პირთა უფლებები და ვალდებულებები:

3.1. აფილირებული აკადემიური თანამდებობის პირი, სეუ-ს სახელით:

3.1.1. ერთვება ცოდნის შექმნის, დაგროვების, მიწოდებისა და გაზიარების პროცესში;

3.1.2. ახორციელებს საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობას, რომლის შედეგები ეთვლება სეუ-ს;

3.1.3. აქტიურად მონაწილეობს სეუ-ს და/ან მისი ფაკულტეტების აკადემიურ თუ სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, საკუთარი კომპეტენციიდან გამომდინარე;

3.1.4. სრულფასოვნად ერთვება სწავლება/სწავლის განხორციელების, სტუდენტებისათვის კონსულტაციების გაწევის, აკადემიური ხელმძღვანელობის, კონფერენციებში მონაწილეობისათვის მათი მომზადების, აბიტურიენტებისათვის ორგანიზებულ ღია კარის დღეებში, სეუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრის საქმიანობის ხელშეწყობაში და სხვა პროცესებში.

3.2. სეუ-ში აფილირება შეუძლებელია, თუ პირი:

3.2.1. აფილირებულია სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

3.2.2. სეუ-ს გარდა დასაქმებულია სხვაგან, რაც მას ხელს უშლის სრულად დააკმაყოფილოს სეუ-ში აფილირებული პირის მიმართ დადგენილი მოთხოვნები;

3.3. აფილირებულ პირს ეკისრება ყველა ვალდებულება და იგი აღჭურვილია ყველა იმ უფლებით, რაც დადგენილია სეუ-ში აკადემიური თანამდებობის მქონე პირთათვის, მათთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე;

3.4. მხოლოდ აფილირებულ პირს აქვს უფლება არჩეულ იქნას სეუ-ს (მ.შ. ფაკულტეტების) წარმომადგენლობით ორგანოებში;

3.5. პირი პასუხისმგებელია სეუ-სთვის მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და უტყუარობაზე;

3.6. დაფინანსებას დაქვემდებარებული პირი ვალდებულია იმუშაოს სეუ-ში დაფინანსების მიღებიდან არანაკლებ მომდევნო ერთი სასწავლო წლისა;

3.7. აფილირებული პირი ვალდებულია, პირადი სურვილით სეუ-თან აფილირების შეწყვეტის შემთხვევაში სხვა უსდ-ში გადასვლის მიზნით და სეუ-ს წინაშე აღებული ვალდებულების სრულად არ/ვერ შესრულების შემთხვევაში, დააბრუნოს მიმდინარე სასწავლო წლის/სემესტრის განმავლობაში სეუ-გან მიღებული დაფინანსების (გარდა ხელფასისა) მთლიანი მოცულობა.

[ცვლილება 29.04.2021, №254]

ბ) სეუ-ს ვალდებულებები:

3.8. აფილირებულ პირებს სეუ სრულად ან ნაწილობრივ უფინანსებს:

3.8.1. სეუ-ს სახელით მომზადებულ სახელმძღვანელოს, მონოგრაფიას, მეთოდურ, სასწავლო თუ კვლევით მასალას;

3.8.2. სეუ-ს სახელით მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში და ა.შ.;

3.8.3. სეუ-ს სახელით სტატიის გამოქვეყნებას მაღალრეიტინგულ სამეცნიერო გამოცემებში (მაღალრეიტინგული ჟურნალების სარეკომენდაციო ჩამონათვალი, ყოველწლიურად, ზუსტდება სეუ-ს ადმინისტრაციის მიერ);

3.8.4. კვლევით საქმიანობასა და აქტივობებს, მ.შ.:

ა) შეუზღუდავ წვდომას, აკადემიური პირის კვლევის სფეროსთან დაკავშირებულ სეუ-ს ელექტრონულ ბაზებზე;

ბ) შიდასაუნივერსიტეტო თუ შიდასაფაკულტეტო საგრანტო პროექტებს, რომლებიც შესაბამისობაშია სეუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმის პრიორიტეტებთან;

3.8.5. დაფინანსების მოცულობა და ხანგრძლივობა განისაზღვრება ამ წესის 1.5. მუხლში მითითებული კომისიის მიერ, ამავე მუხლში დადგენილი წესით;

3.9. აფილირებული პირების აკადემიური საქმიანობის მხარდაჭერისა და აკადემიური პერსონალის მოტივაციის ამაღლების მიზნით, სეუ იყენებს წახალისების სხვადასხვა ფორმებს, როგორებიცაა: დაფინანსება (სრული ან ნაწილობრივი); ერთჯერადი ფულადი ჯილდო, პრემია, ხელფასის დანამატი; სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულება; მადლობის გამოცხადება; მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების დაფინანსება და სხვ.;

3.10. აფილირებული პირის წახალისების ფორმის განსაზღვრას ახდენს ამ წესის 1.5. მუხლში მითითებული კომისია, ამავე მუხლში დადგენილი წესით.

3.11. აფილირებული პირი უფლებამოსილია, მოითხოვოს ანაზღაურება არაუმეტეს 2000 (ორიათასი) ლარისა, თუ ის დააგროვებს არანაკლებ 40 ქულას, სეუ-ს რექტორის №494 (03.09.2020) ბრძანებით დამტკიცებული „შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს აკადემიური პერსონალის მიერ სასწავლო წლის განმავლობაში შესასრულებელი სამუშაოსა და შესაბამისი აქტივობების მიხედვით დასაგროვებელი ქულების ოდენობებით“ და მასთან გაფორმებული აფილირების შეთანხმების შესაბამისად.
[ცვლილება 29.04.2021, №254]

მუხლი 4. აფილირების გაუქმება

4.1. აფილირების გაუქმების საფუძველი შეიძლება იყოს:

ა) აფილირებული პირის წერილობითი განცხადება აფილირების გაუქმების შესახებ;

ბ) აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის ვადის ამოწურვა;

გ) ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა;

დ) სეუ-ს აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება აფილირების გაუქმების შესახებ, რისი საფუძველიც შეიძლება იყოს:

დ.ა) აფილირებული პირის მიერ წინამდებარე წესით გათვალისწინებული პირობებისა და მოთხოვნების დარღვევა;

დ.ბ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, სეუ-ს შინაგანაწესითა და სხვადასხვა რეგულაციებით, შრომითი ხელშეკრულებით დადგენილი შემთხვევები, რომლებიც იწვევენ შრომითი ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტას;

4.2. აფილირების გაუქმება არ იწვევს აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის გაუქმებას და შრომითი ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტას.

მუხლი 5. გარდამავალი დებულებები

5.1. აფილირებული პირების სია უნდა გამოქვეყნდეს სეუს ვებ-გვერდზე;

5.2. აფილირებულ პირთა შესახებ ინფორმაციის თავმოყრა, რეესტრში შეტანა და პერიოდული მონიტორინგი დაევალოს სეუ-ს პერსონალის მართვის სამსახურს.